დოქტორანტობის კანდიდატთა საყურადღებოდ!!!

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს დოქტორანტურაში შემდეგი სადოქტორო კვლევის პროგრამების განსახორციელებლად:

1. „ოპტიკურ-კოჰერენტული ტომოგრაფია-ანგიოგრაფიის მეშვეობით ბადურისა და ქორიოკაპილარების სიმკვრივის განსაზღვრა ახლომხედველ ბავშვებში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი დავით შენგელია

2. „ნაწლავის მიკრობიოტის დისბიოზის გავლენა ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადების მიმდინარეობაზე და მისი კორექცია“

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი გელა სულაბერიძე

სამეცნიერო კონსულტანტი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კლინიკის პროფესორი გოჩა ბარბაქაძე

3. „მეჯნ-ბარძაყის სახსრის ჰისტოპათოლოგიური და ფენოტიპური თავისებურებები სხვადასხვა ტიპის ოსტეოართრიტის დროს“

სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი ელენე (დოდო) ქართველიშვილი

სამეცნიერო კონსულტანტი – პროფესორი გიორგი ბურკაძე

4. „კანის ბაზალურუჯრედოვანი და ბრტყელუჯრედოვანი კარცინომების პროგრესიისა და რეციდივის რისკის მოლეკულური მახასიათებლები“

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი რიმა ბერიაშვილი
სამეცნიერო კონსულტანტი – პროფესორი ალექსანდრე კაციტაძე

5. „ნაღვლის ბუშტის ლორწოვანი გარსის ანთებითი ცვლილებები და ჰორმონული ექსპრესიის თავისებურებები დისპლაზია-კარცინომის განვითარებაში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიორგი დიდავა

6. „პრო- და ანთების საწინააღმდეგო ბიომარკერების კორელაციის მარკერული როლი სეფსისის ადრეული დიაგნოსტიკისათვის“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ლევან რატიანი
ასოცირებული პროფესორი თამარ დიდბარიძე

7. „თავის ტვინის შეშუპების დიაგნოსტიკის როლი ცერებრული სიმსივნეების მკურნალობაში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი ინგოროყვა

8. „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული მულტისისტემური ანთებითი სინდრომის კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებები საქართველოს ბავშვთა პოპულაციაში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნანი ყავლაშვილი

9. „მსუბუქი ჰიპოთერმიისა (34°C) და თავის ტვინის უნილატერალური პერფუზიით უპირატესობები აორტის რკალის ქირურგიაში“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი მ. ბოკუჩავა
პროფესორი ოტტო დაპუნტი

სამეცნიერო კონსულტანტი – პროფესორი ოლივერ დევალდი

10. „თირკმლის ქრონიკულ დაავადებასთან (თქდ) ასოცირებული კანის ქავილისა და ქსეროზის მართვის ალგორითმი დიალიზზე მყოფი პაციენტების ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ირმა ჭოხონელიძე
ასოცირებული პროფესორი მაია მათოშვილი

11. „ქრონიკული იმობილიზაციური სტრესისა და იზოლაციურ სტრესთან მისი კომბინაციის ზეგავლენა სომატურ კორელატებზე, მელატონინის, კორტიზოლის, ორექსინის და ჰემოდინამიკური პარამეტრების ცირკადულ ფლუქტუაციაზე ექსპერიმენტში“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ნიკოლოზ გონგაძე

პროფესორი ირინე კვაჭაძე

12. „ნოზოკომური პნევმონიის ინფექციური კონტროლის მიკრობიოლოგიური ასპექტების შესწავლა პრევენციული ღონისძიებების ოპტიმიზაციისთვის“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი შორენა ხეცურიანი

13. „მსხვილი მოტორული ფუნქციების და ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის კორელაცია სხვადასხვა სიმძიმის ცერებრული დამბლის სპასტიური ფორმებით დაავადებულ ბავშვთა კომპლექსური რეაბილიტაციის შემდეგ“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ირაკლი ნატროშვილი

14. „მოსახსნელი და მოუხსნელი ორთოდონტიული აპარატების გავლენა კბილთა ფესვების რეზორბციაზე - შედარებითი ანალიზი“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ნინო წილოსანი

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე მირველაშვილი

სამეცნიერო კონსულტანტი – ასისტენტ-პროფესორი თეა ზერეკიძე

15. „ხარისხი დიზაინით" კონცეფცია ნაყენების ოპტიმალური ფორმულაციისა და ტექნოლოგიის განსაზღვრისათვის“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ნინო ქურდიანი

ქიმიის აკადემიური დოქტორი იმედა რუბაშვილი

კონკურსი მოიცავს:

ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას,

ბ) გამოცდას სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (ტესტირება, გასაუბრება).

შენიშვნა: ინგლისურ ენაში გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც წარმოადგენენ სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2021 წლის 7

ოქტომბრის წარმომადგენლობითი საბჭოს #23/15 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2021 წლის შემოდგომის სემესტრიდან ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების წესის“ პირველი მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრულ ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დონის მოქმედ სერტიფიკატს (https://tsmu.edu/ts/content/2/50/12/30/0/0).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება თსსუ–ის რექტორის სახელზე;
2. განცხადება (სააპლიკაციო ფორმა);
3. შუამდგომლობა ბოლო სამუშაო ადგილიდან, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
4. უმაღლესი სამედიცინო განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/დიპლომის ასლი;
5. სამეცნიერო შრომების სია თანდართული პირველწყაროებით და ქსეროასლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. CV ან კადრების აღრიცხვის ფურცელი (სურათით და დადასტურებული ბეჭდით);
8. ფოტოსურათის (3×4) ელექტრონული ვერსია.
9. ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დონის მოქმედი სერტიფიკატის წარმოდგენა სავალდებულოა 35 წლამდე ასაკის იმ პირებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ კონკურსში მონაწილეობა მიიღონ სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2021 წლის 7 ოქტომბრის წარმომადგენლობითი საბჭოს #23/15 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2021 წლის შემოდგომის სემესტრიდან ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს ენების ფლობის საერთო ევროპული წესის (CEFR) შესაბამისად. ამასთან, TOEFL iBT – ის მინიმალური ზღვარი შეადგენს 79 ქულას, IELTS Academic-ის – 6.5-

ს, „Cambridge English”-ის – 176 ქულას. სერტიფიკატი „Cambridge English” გაცემული უნდა იყოს დოქტორანტურაში ჩარიცხვის დროისთვის ბოლო 2 წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ სერტიფიკატში „Cambridge English” ქულა მითითებული არ არის, მაშინ დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს სერტიფიკატი „Cambridge English: Advanced (CAE). ამასთან, სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს დოქტორანტურაში ჩარიცხვის დროისთვის ბოლო 2 წლის განმავლობაში (https://tsmu.edu/ts/content/2/50/12/30/0/0).

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საბუთები უნდა წარმოადგინონ 2022 წლის 18 მარტიდან 18 აპრილის ჩათვლით (შაბათ–კვირის გარდა) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურში მატერიალური და ელექტრონული ფორმატით (pdf ფაილი) ელექტრონულ მისამართზე: n.vepkhvadze@tsmu.edu

განცხადების და სააპლიკაციო ფორმის ნიმუში თან ერთვის (დანართი 1; დანართი 2).

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურს, ტელ.: 254 24 66.